პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი ორი შაური

# ტარტაროზი

№ 57 | კვირა, 18 ივლისი, 1926 წ. | № 57

## ვისია ეს საათი?



ეროვნული ბიბლიოთეკა

## როგორ ხვდებოდენ სოფელში ჰაეროპლანს წინედ



# ბრძანება № 9

სმენა! ყველანი
დადექით მწკრივად
და ერთსულოვნად—
ჩვეულებრივად
მოისმინევით
ბრძანება ჩემი,—
თქვენთვის პროგრამად
გამონაცემი:
გიცხადებთ ყველა
ქვეშევრდომ-სწორებს,
ერთგულ მებრძოლებს,
ტარტაროზკორებს,—
ჯოჯოხეთისა
ოჯახის წევრებს.—
მწარე სიტყვების
ოსტატებს მჭევრებს
ჩვენს თანამგზავრებს,
და ჩვენს მიმდევრებს,
რომ დღეს უქმდება
ბრძანება ძველი—
(ორი თვის წინად
რომელსაც ვწერდი)
და „ტარტაროზი“
ამიერიდან
გამოდის ისევ

თექვსმეტი გვერდი:—
ჩვენ არ გჩვევია
ჩვეულებრივად
ერთ მკვდარ წერტილზე
გაყინვა ცივად:
ვზომავთ და ვწონით
ჟამს და დროებას—
და კვალში მივდევთ
საჭიროებას,
რომ დღიურ კითხვას
გავცეთ პასუხი
და კვალში მივყვეთ
საწუთროებას!
და ამიტომაც
წინა ბრძანება—
არ იყო მხოლოდ
სიტყვის ზმანება,—
არამედ ჰქონდა
ღრმა საფუძველი
რომ შეგვეცვალა
ჩვენ წესი ძველი
და „ტარტაროზსა“
თექვსმეტის ნაცვლად,—
მხოლოდ რვა გვერდზე
გადმოენაცვლა,—
(ისიც დროებით-—
ჩვენ ვწერდით ნათლად!)
მიზეზს ჩამოვთვლი
სულ სამიოდეს,—
საჭირო არის
ყველამ იცოდეს:

**პირველი** იყო
ქაღალდის შოვნა,
(მაშინ გაძნელდა
იმისი პოვნა)
საჭირო გახდა
ქაღალდტრესტისთვის
გადაგვეგზავნა
აქედან თხოვნა
და მიღებამდე
გვეცად-გვედროვნა!
**მეორე** ნედლი
მასალის კითხვა
სხვაგვარად დავსვით
ვიდრე დღეს (გინდ ხვალ):
„სატარტაროზო“
საკბილო საგნებს:
(თავადებს ჩარჩებს
მღვდლებს თუ დიაკვნებს)
ჩვენ აღარ ვთვლიდით
ბლომად მისაგნებს,—
ვფიქრობდით:—„იმათ
უტირეთ ყოფა,—
აწი რვა გვერდიც
კარგად ეყოფათ!“

**მესამე** (დიდი
ფუძე ზნეობის)
იყო რეჟიმი
მომჭირნეობის:
მაშინ დაიწყო
ეს საქმე ძნელი,
ყველამ დაზოგვას
მოჰკიდა ხელი
და (ჩვენ ამ თქმაში
ვიყოთ გულწრფელი)—
მრავალი გვყავდა
გამოუცდელი!
და რომ ეს საქმე
არ წაგვეხდინა—
უნდა მაგალითი
გვეჩვენებინა!
ვთქვით და აღსრულდა:
რეჟიმი იგი,
ჩვენ დავამყარეთ
ვით ითხოვს რიგი
და გაკვეთილი
მივეცით ყველას,
ვინც კი ამ დარგში
ითხოვდა შველას
და თუ დღეს „რეჟიმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# და როგორ ხვდებიან ახლა



ეკონომია“
ხალხს სასარგებლო
გზად გახდომია,
აქ ჩვენ მიგვიძღვის
ამაგი დიდი
მომჭირნეობის
ჩვენ გავდეთ ჰიდი!..
მაგრამ როს საქმე
ავწონ-დავწონეთ
და შევაფასეთ
ჩვენი ძალლონე,
საჭიროდ ვსცანით
კვლავ შეცვლა გეზის.
ისევ იმავე
სამი მიეზით:
პირველი ის, რომ
ქაღალდის საქმე,
ასე თუ ისე
მოვაწყვე აქ მე
და თუმც კვლავ გვამრთებს
ამ დარგში ზრუნვა,
მაგრამ არ გველის
შფოთვა და ჭმუნვა.
მეორე—ჩვენში
მომჭირნეობა
განხორციელდა—
განჩდა მხნეობა:
ჩვენ ყაირათი
ვასწავლეთ ყველას
და წარმოებას
მივეცით შველა
და ამ მხრივ ვალი
სერიოზული—
ჩვენ მოვიხადეთ
— ტარტაროზულად!
მესამე ის, რომ
თქვენს საყვედურებს,
ველარ ვასმენდით
აწი ჩვენს ყურებს:
თქვენ გვიჩიოდით
და წყრომით გვწერდით:
— „ვერაფერს იტევს
თქვენი რვა გვერდი!“
„სატარტაროზო“
საქონელი კი
უნდა გამოვტყდეთ—
მეტად გახშირდა
და ყურადღების
მიქცევა ჭირდა:
ზოგმა ძველებურ
აიშვა თვი,
ზოგმა გაფლანგვა
ხელახლა შინჯა,
ზოგს დაავიწყდა
ჩვენი ჩანგალი,
ზოგმა რეჟიმი დაამახინჯა ...
და ჩვენც ავიღეთ
და ასე ვქენით
შევიკრიბენით
და დავასკვენით:
— საჭირო არის
დღეს მეტის-მეტად,
რომ რვა გადიქცეს
ისევ თექვსმეტად!..
აჰა, სრულდება
ბრძანება ესა
და როგორც ხედავთ
თქვენ უკვე დღესა—
შეგისრულევით
რასაცა გვწერდით
და „ტარტაროზი“
ამიერიდან
გამოდის ისევ
თექვსმეტი გვერდი.
გააორკეცოთ
დღეიდან შრომა
და მოგვაწოდოთ
მასალა ბლომად.
გაიმახვილეთ
თვალი და ყური,
დასძახეთ ჰიმნი
ჯოჯოხეთური
და გაუწიეთ
ხალხს სამსახური
და ვინც კი ნახოთ
ორგული, მავნე
ჩვენ აქ მასალად
გადმოგვიგზავნეთ,
ჩვენც არ მოგაკლებთ
ზრუნვას და ჯაფას
და მოგიმზადებთ
საკბილო ფაფას:
იმ თქვენ მასალებს
ამგვარად, ასე
დაუყოვნებლივ
ჩვენ მოვათვსებთ—
ზოგს „ტარტაროზში“
(რაც კი ივარგებს,—
ზოგსაც უფსკერო
გოდორი არგებს).
პასუხს კი მაინც
მიიღებთ ყველა—
გიშველით რაშიც
გჭირიათ შველა!

და ამნაირად
ბრძანება ესე,
უცვლელი არის
ამიერიდან
და დღეს ძალაში
უკვე შევიდა!

ტარტაროზი.

# სოფლის იდილია

„ხშირია შემთხვევა, როცა რკინის-გზის ახლოს მდებარე სოფელი ხლაფორთობს სოფელში რკინის-გზის შტოს გაყვანაზე, მაშინ როცა შარა-გზები ვერ შეუკეთებიან.



ღამე იყო, როცა რკინის-გზის სადგურიდან სოფლის გზას გავუყევი.

სახიფათო იყო მგზავრობა, რადგან ნიაღვარს შარა-გზა დაენგრია, მაგრამ ქალაქში დარჩენას და ღამის გათევას, მაინც წასვლა ვამჯობინე. ასანთი ბლომად მოვიმარაგე და იმისი იმედი მქონდა: გზას გავინათებდი სადაც დაღრღნილი ორმოები შემხვდებოდა.

სოფელი უდაბნოს დამსგავსებოდა და მის სიჩუმეს მხოლოდ იქა-აქ შორეული ძაღლების ყეფა არღვევდა.

ჩეს წინ რამოდენიმე გლეხი მიდიოდა. ეტყობოდა ისინი ყანიდან მოდიოდენ, თოხები და აზგები ჰქონდათ მხრებზე.

მე დავაპირე მათი დაწევა და მათთან მგზავრობა, მაგრამ როცა მათი ლაპარაკი გავიგონე, ვამჯობინე უკან ჩამორჩენა და მათი ლაპარაკის მოსმენა.

აი რას ლაპარაკობდენ:

— არა, ძაო, აუცილებლად უნდა გავიყვანოთ ჩვენს სოფელში რკინის-გზის შტო... ერთი დაწყებაა საჭირო, თორემ მერე თვითონ მთავრობა გაიყვანს; აბა, დაწყებულ საქმეს ხომ არ მიგვიტიებს!

— გიჟი ხომ არ ხარ? ვინ გაგიყვანს აქ რკინის-გზას? რა ხეირი ექნება ამით მთავრობას! ნუ გეშინია ჩვენში არაფერი იყოს ისეთი რამ, რომ შეიძლებოდეს მისი გატანა და ამისთვის რკინის-გზის გაყვანა.

— როგორ თუ არაფერი გვაქვს? განა ცოტა პარკი (აბრეშუმი) მოდის ჩვენში?

— დაიკარგე იქით! რაღაც ორი კალათი პარკი მოვა, მაგისათვის ვინ გაგიყვანს მატარებელს? წამოიკიდებს დედა-კაცი ზურგზე გოდორით და ერთს წუთში ჩააქცელებს ქალაქში.

— შენ რა იცი... მე ამას წინეთ თბილისში ვიყავი და ჩემი თვალით ვნახე:

გათენდება თუ არა, ყველა ქუჩებში გაისმის ყვირილი: გურული ლობიო... (ჩვენებური პარკი ლობიო) მეც შენსავით ვფიქრობდი, რომ ჩვენ ღარიბები ვიყავით არაფერი გვქონდა გასატანი... თურმე ვერ ვაფასებთ ჩვენს პარკლობიოს... ლობიოთ ხომ კი ვართ მაინც სახელგანთქმული? აბა, ერთი იგი მითხარი, რატომ მაინდამაინც გურულ ლობიოს იძახიან?.. ალბათ მარტო ჩვენში მოდის და იმიტომ... საწყლები ვეებერთელა გობით თავზე ატარებენ გურულ ლობიოს... განა ეს არ არის გასატანი საქონელი, რომელსაც გატანა სჭირია... მარტო ამისთვის ღირს რკინის-გზის გაყვანა...

— ბევრი გცოდნია შენ... თბილისში რომ პარკი ლობიო იყიდება, მაშინ ჩვენში პარკი ლობიო ყვავილიდან გამოდის და წამლად არ იშოვება... იქ ბაღებში მოჰყავთ გურული ლობიო.

— აბა რატომ ჰქვია გურული ლობიო?

— ეს პროფესორებს ჰკითხე; მე არ ვიცი...

— მაგას თავი დაანებე თუ გინდა, სხვა ავიღოთ... განა ჩვენში სხვა არაფერია?

— რა სიკეთე გაქვს, თვითონ არ იცი? ნუ გეშინია შინაური ფრინველები და საქონელი არა გყავს, რომ სურსათ-სანოვაგის გატანა შეგვეძლოს...

— ტყვილად გგონია... რატომაც არა!

— შე დალოცვილო, შენი ბაღნები რომ ბუდეში ქათამს უციცინებენ თუ როდის დადებს ქათამი კვერცხს და არც კი აცლიან დადებას,—რა შეგიძლია შენ გაიტანო? ასე ვართ ყველა... თუ იგი გინდა, რომ ბაღნები გადარიო... რა ვიცი, რა... ცალკე ვაგონით თუ ერთ კვერცხს და ერთს კრუხს წაიღებენ არ ვიცი, და სხვა კი ჩვენ არაფერი გვაქვს.

— განა ცოტაა ჩვენს ახლოს ტყე?

— რა ტყეა, ეს? რაღაც ორი ძირი წიფელა გადარჩენილა, ხვალ თუ ზეგ მე და შენ თუ არა, სხვა ვინმე შეიჰპარება და იმასაც წამოაქცევს!

— მადანი ცოტაა?

— დაიწყე შენ ერთი რაღა!.. მადანი კი არა, კაცო, მიწა ვერ მოგითოხნია და მადანს დაამუშავებ?

— ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო მგზავრობით რამდენი შემოსავალი ექნება რკინის-გზას. ახლა რომ აქ მატარებელი ყოფილიყო, ხომ არ წამოვიდოდით ქალაქიდან ფეხით? ჩავჯდებოდით შიგ და არხეინად მოგვარიხინებდა სახლში?

— ლოგინში არ გინდა რომ შეგაწვინოს და ზედ სასთუმალთან მიგიყვანოს?! რა ხეირი უნდა ნახოს შენში, როცა ნატანებიდან ოზურგეთამდი უბილეთოთ იმგზავრე და რევიზორის გამოჩენაზე კურდღელსავით იმალებოდი ვაგონიდან ვაგონში და ფეხისადგილებში...

— ვაი... ვაი... დავიმტვერი...

— რა ამბავია?.. ოი.. ოი... რა ყოფილა აქ... „კპიჩკა“ გაანათე კაცო...

მე საჩქაროდ მივვარდი და ასანთს გავუქნიე.

ხელს ჰკიდებდენ და აყენებდენ იმას, ვინც რკინის-გზის გაყვანას თხოულობდა... (ხმ ზე ვიცანი იგი).

— მართალი ხარ შენ; მატარებელი რომ ყოფილიყო აქ, შენ არ დაიმტვრეოდი...

— კაცო, ამ ოხერი გზის გაკეთება რომ არ იქნა ამდენხანს!—ამბობდა დაზარალებული; წვივებზე ხელს ისვამდა იარების დასაამებლად.

— ა? როგორ ფიქრობ ახლა, ხომ სჯობია, რომ ამ გზას გავაკეთებდეთ, ვიდრე რკინის-გზის გაყვანას ვუცაცადოთ?

— მე ჩემი კი დამემართა და...

— არა უშავს... კიდევ უარესი დაგემართება... შენ არ იყავი, რომ გაიპარე როცა მთელი სოფელი გამოსული იყო გზის შესაკეთებლად?

— მერმე ხომ მაინც წყალმა წაიღო...

ჩვენ დავშორდით ერთმანეთს... ისინმა გადაუხვიეს თავის სოფლისკენ. მე მარტო განვაგრძე გზა. მათ ნალაპარაკევზე ფიქრებში ისე გავიარე მთელი მანძილი, რომ არც კი გამიგია ისე მივადექი ჩემი ეზოს ჭიშკარს...

ალბად ისინი ისევ განაგრძობდენ თავის ლაპარაკს.

**ისელი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „სიმულიანტი ცოლი“

„სიმულიაცია გავრცელებულია არა მარტო მუშა-მოსამსახურეებში, არამედ ოჯახშიაც და როგორც სახელმწიფოს უთხრის ძირს, ისე ოჯახსაც“

უხაროდა კოტეს ავდარი და წვიმა,
და ამბობდა იგი:—ბედმა გამიღიმა...

გადმომხედა ღმერთმა... გრილა ასე რაკი
აღარ უნდა ცოლშვილს ამ წელს აგარაკი—

და რამდენჯერ გრგვინვა გაისმოდა ცაში
მის ოთახში მისგან გაისმოდა ტაში.

დაუარდა ბუქნას... აცეკვებდა ფეხებს...
უხაროდა, რომ ცა მიწას სცემდა მეხებს.

ცის სიცილი—ელვა აღიმებდა კოტეს...
მაგრამ ცოლი თურმე ამზადებდა ნოტებს.

მხიარულად იყო მთელ დღეს კოტე ხალხში,—
მაგრამ წაემწარა რომ დაბრუნდა სახლში.

ცოლი იწვა... თავზე ტილო ედვა სველი...
აღარ ინძრეოდა... სუნთქვა ჰქონდა ნელი...

სასთუმალთან ედგა ერთი ჭიქა წყალი
და ჭიქისა ახლოს ფხვნილი რამ წამალი.

შეკრთდა კოტე... შესდგა... თვალი დაუბნელდა;
ამ ამბავმა უცბად გულს ატეკა ელდა..

ცოლმა დაინახა შემოსული ქმარი
და დახუჭა თვალი, თითქოს იყოს მკვდარი.



თავს დაადგა კოტე... ჩაიოჯდა იქ ახლოს...
უცქერს და ვერ ბედავს ხელი როგორ ახლოს.
ბოლოს შეეკითხა:—გენაცვალე მარო,
შემომხედე ერთი... მითხარ: როგორ ხარო...
წაუყურა მარომ... (კბილით იჭერს სიცილს)...
კოტე ჰკითხავს შვილს—თუ დედაზე რა იცის...
— ავად ალის დედა... სტკივა აგალაკი...
და ალ შეუძლია დედას ლაპალაკი.—
— ვაი ჩემს თავს,—ხვნეშით კოტემ დაიკვნესა,—
რაღა მეშველება? რაა ჩემს თავს ესა?!—
და დაეშვა სკამზე, ჩამოჰყარა ყური...
დაავიწყდა საწყალს რომ შიოდა პური.
გონს მოვიდა კოტე რომ მოესმა ბოდვა:
— რა ვქნა... ფული არ გვაქვს... კოტე არის ცოდვა...
არ დაიმტვრე... მოვალ... დედა... მამაჩემი...
ჰო, ავად ვარ... ვიცი მომიხდება ცემი...
თმა დაუდგა კოტეს თავზე ვით ჯაგარი.
(ვერ გაუძლებ ბოდვას იყო რა მაგარი)
გაიფიქრა კოტემ: ალბად მართლა კვდება...
მიცვალებულებს მიტომ ელანდება—

...და ქვითინით ცოლსა ჩაეხვია ქმარი...
მაროს თავს დაეცა თითქოს შიშის ზარი,—
წამოვარდა ზეზე... აბრიალებს თვალებს...
შენ ხარ?!! სხვა მეგონე... მოდი გენაცვალე...
ავადა ვარ, კოტე... მოგიკვდები მალე...
მიმგლოვე ერთს წელსა—არ შეირთო ცოლი...
როცა მოიყვანო,—იყოს ჩემი ტოლი...
მე გიკვდები, კოტე... ო, რა ცოლი... ქალი...
მე რომ მოვკვდე, განა არის სამართალი?..
ჰაერი არ მყოფნის, მეხუთება სული...
აქ რა მომაბრუნებს... ვერ მუშაობს გული...
„პაროკ სერდცა“, ჭლექი, სისუსტე ფილტვების,
რევმატიზმი, დამბლა და „ჩახოტკა“ ძვლების.
საშვილოს ტკივილი და ქალური სენი,—
სიცოცხლეს მისპობენ მე ყველა ესენი...
ო, დაუდგეს თვალი ასეთ სიღარიბეს
განა ეცხოვრება ქვეყნად ჩვენებრ ჯიბეს?
თავს პატრონობს ყველა და ყველაფერს ჰყიდის...
აქვს შეძლება თუ არ,—აგარაკზე მიდის..
მგონი ვკვდები... ვაჰმე... ფეხები მაქვს ცივი...



ვკვდები, კოტე, ვკვდები... შენ ხარ, კოტე, ქვრივი...
როს ბრუნდება სახლში, აღარ აქვს საკვები
და მშიერი კუჭი უდგენს სასტიკ ნოტებს...
სიმშილისგან შკაფში მომკვდარა თაგვები...
ო, ვინ შეიბრალებს ჩვენს საწყალსა კოტეს?!
და ეხლა კი კოტე ყოველს შაბათობით
შუადღის მატარებლით აგარაკზე მიდის.
მიაქვს საჩუქრები ზორბად და ათობით
(ხელფასი არ ჰყოფნის... სახლის ნივთებს ჰყიდის).

ჭინჭარი.



# ბევრ რამეზე

შეხვდით ჩვენ ერთმანეთს ადუღებულ წყლი „ბაკთან“. მას ეჭირა ხელში სავსე „კრუჟკა“ და ლაბორანტის დაკვირვებით იცქირებოდა შიგ.

— მურაზ, (მთლიანად თეი-მურაზ) მომმართა მან, ეს წყალი ადუღებულია?..

— წყლი შეიძლება ადუღებულია, მხოლოდ კრუჟკა კი მგონი საეჭვოა... ადვილად შეგიძლიანთ მიიღოთ ბევრგვარი ავადმყოფობა, როგორც მაგალითად: შავი ჭირი, თეთრი ხურვება...

მეტი მე არ მითქვამს.

ხმისამოუღებლივ დადგა მან კრუჟკა თავის ადგილას, დაიბანა ხელები და პეშვით დალია წყალი.

მე წყრომით ვუცქეროდი მას.

— თქვენი ქცევა ვერ არის ჰიგიენური... ვინ იცის რამდენ ქალალდებს გაუვლია ამ ხელებში და ვინ იცის კიდევ რამდენ უწმინდურს სჭერია ისინი...

— ჰიგიენა და სანიტარია ეს საწინდარია მშრომელის ჯანმრთელობის!—დავასრულე ბოლოს მკაცრად.

მან ჯერ გაკვირვებით შემომხედა, შემდეგ აბრეშუმის „შულქებს“ კრიტიკულად ახედ-დახედა და შემომაჩერდა.

— ჩემ ოკარგო, ნუ თუ თქვენ იფიქრეთ, რომ საწინდარი ნიშნავს წინდებს?..

რომ გამომერკვია მისი ხელების სისუფთავე, მე ავსწიე ერთი მათგანი მაღლა, და რადგანაც ხელის უფრო მაღლა აწევა შეუძლებელი იყო, იძულებული ვიყავი თვითონაც საკმაოდ დამეხარა თავი, და ალბათ საერთო უხერხულ მდგომარეობის ბრალი იყო, რომ ხელს...

მაგრამ ხელი რომ დაბანილი იყო და ისიც ადუღებულ წყლით.

გარშემო არავინ იყო.

გვიცქეროდა მხოლოდ ღიპიანი ბაკი და მის გვერდით დადგმული კრუჟკა მოგვაგონებდა ოჯახურ ბედნიერებას.

(შეიძლება იმიტომ, რომ სავსე იყო).

— მურაზ, (შეუმოკლებლად თეი-მურაზ) ზაგესი ხომ მართლა წყლით იმუშავებს, ჰაა?.. ხომ?.. გუშინ ერთი ქალი მეუბნებოდა, (შრომის სკოლის მასწავლებელია) რომ ზაგესი მარგანეცით იმუშავებსო. ამიტომ აიღეს ამერიკელებმა კონცესია მარგანეცზეო... ბუდკებში კი, აი ზედ საშინელი წარწერა და თავის ქალა რომ დაუხატავთ, თურმე მკვდრებს დასწვავენ... რა საშინელი კრემატორებია... ესეც გუშინ ერთმა ჩვენმა მეზობელმა ყმაწვილმა მიამბო. იგი ისეთი ზრდილობიანია, განვითარებული, ჭკვიანი...

— უეჭველია, თუ ასეთი რამეები იცის...

— ო, იმან კიდევ ბევრი რამ მიამბო. ამუნდსენზე, ჩრდილოეთ და დასავლეთ პოლიუსებზე, კუკის გაფიცვაზე ინგლისში... არ მახსოვს ყველაფერი... ის ასე ჭკვიანია...

ვილაცამ ჩაგვიარა, და მოკლე ხნით ჩვენს შორის მძიმე მდუმარება ჩამოვარდა.

— მურაზ, (რისთვის მურაზ და არა თეი-მურაზ) რატომ ხართ თქვენ ასე მოღუშული ამ ბოლო დროს?.. ნამდვილ მენახშირეს გევხართ!..

მაშინ მე გარდავწყვიტე მეამბნა ამ ცნობისმოყვარე, კეთილ, ნაზ არსებისათვის ჩემი უკანასკნელი გარდაწყვეტილება, რომელსაც კარგი ხანია ღრმად ვინახავდი გულის ბნელ კუნჭულში.

და უამბე:

— მშვენიერი, ოცნებების ამაფორიაქებელი საღამო იყო. მზე ჩადიოდა პეტხაინის მთის იქით (ბოტანიკურ ბაღში) და მისი უკანასკნელ ოქროს სხივები, რომლებიც კატის კნუტებივით ეთამაშებოდენ წინ გაშხვართულ, იდუმალობით სავსე გრანდიოზულ ქალაქს, მაგონებდენ ჩვენი საოპერო თეატრის მომხიბვლელ ფარდას, და საკუთარი თავი კი—ზედ გამოყვანილ აღტაცებულ უცნობ რაინდს...

— რა მშვენიერი და ლამაზი დასაწყისია...

— ჯერ სად არის... ბოლო უნდა ნახოთ...

— მივდიოდი მე ვერცხლის ქუჩაზე, არის თბილსში ასეთი, და ვფიქრობდი, აი ქუჩაც კი არის ამ ქვეყანაზე ვერცხლის, და მე კი, რომელიც ყოველ დღე ამ ქუჩაზე დავიარები, ერთი უბრალო ვერცხლის პორტსიგარიც კი არა მაქვს ჯიბეში... მე ვგრძნობდი, როგორ ქრებოდენ ცხოვრებაში ჩემი უკანასკნელი იმედები. მაშინ მე საბოლოოდ გარდავწყვიტე თვითმკვლელობით შემეწყვიტა ჩემი გამწარებულ სიცოცხლის ძაფი...

— სამართებელით არა?.. რა საშინელი გმირობაა!

— არა... მახათით...

— ??..

— დიახ, მახათით... ხომ გაგიგონიათ ჩვენი ხალხის გულიდან ამოხეთქილი ანდაზა: უსაქმო კაცი . . . . . მახათს იყრიდაო... მე მსურდა ვყოფილიყავი ორიგინალური ბოლომდის, და ერთხელ კიდევ დამემტკიცებია კაცობრიობისათვის, თუ რა შეუძლია გაშმაგებულ ადამიანის სულსა და გულს...

— მურაზ, მერე თქვენ არ ყოყმანობდით?..

— დიახ... მე ვყოყმანობდი... მე არ ვიცოდი, რომელი ამერჩია ორში, მახათი თუ სადგისი... მე დიდხანს ვფიქრობდი ამაზე და ვინ იცის კიდევ რამდენ ხანს ვიფიქრებდი, რომ...

შემდეგ მე კიდევ ბევრ რამეზე ვილაპარაკე, რამაც მოულოდნელი ნაყოფი გამოიღო.

ასე ვიმუსაიფეთ ჩვენ, სანამ მუშაობის დასრულების დრომ არ მოატანა და სახლში ერთად არ წავედით.

დღეს იგი უკვე ჩემი ცოლია, და ჩემს გარდაწყვეტილებებს ძალიან იშვიათად უჯერის.

თქვენ იტყვით, რაკი ნდობა დაკარგეთ—გაეყარეთ... ცოტაა თქვენს დაწესებულებაში სხვა ქალებიო?..

სჩანს თქვენს ყურებამდის არ მოუწევია კიდევ უკანასკნელ ამბებს.

იცით თქვენ, რომ ამ მომჭირნეობის რეჟიმის გამო ჩვენმა ადმინისტრაციამ ისე მაგრად მოუჭირა ქალებს ხელი, რომ ყველანი შემცირებაში მოაყოლა?..

დარჩა მხოლოდ ერთი და ისიც...

ჩემი ცოლი...

პროტექცია?..

არა, ბატონებო!.. პროტექცია აქ თითქმის არაფერ შუაშია...

უთუოდ გაგონილი გექნებათ ქართული ანდაზა:

**მუნჯის ენა მუნჯის დედამ იცისო.** **სინემატო**

# გამოცდებში ჩაიჭრა

„მშველს უფლება აქვს ცურვის არ მცოდნე პირს აუკრძალოს ბანაობა მდინარის მთავარ კალაპოტში“



**მშველელი.** (მობანავეს): ცურვის უცოდინარობის გამო, თქვენ გეკრძალებათ წყალში ბანაობა, ხოლო ნება გეძლევათ იბანაოთ ხმელეთზე, რათა თავიდან აცილებულ იქნას მოსალოდნელი უბედური შემთხვევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამფლან



ზის და იგონებს წარსულ ცხოვრებას.



















1. არის ლეგენდა: რომის დამაარსებელი რომული თავისი ძმით გა... დღეს იმავე რომში მუსოლინი—მგელი, რომელიც ფაშიზმის სულის მაწ... ულში. ბრბოებს ქანდაკება, რომელიც აქ არის ნაჩვენები, ამ ლეგენდიდან ამოკვეთილი. მრავალ სახელმწიფოებში. 2. პარისი ტროის ლეგენდის მას თან წაიყვანა. ... დამაარსებელია, მკვებავს და ზრდის თავის ლეკვებს, რომლებიც თარეშობენ ევროპის ცხვრის, არ ეთანხმება, მაგრამ გაძევ ეწეკრება შეცირებით და ბორანზე ... უფალ ხალხის ეკრის ჰალეზში მიმყავს თანამშრომელი ქალი, რომელიც ჯერ მორ- ცხოვრების დღევანდელ სინამდვილიდან არის საერთაშორისო და მარიკოლ... მეორე მზარეზე. 4. ჰერმეს გარბის თავმოკვეთილი გორგონის თავით. ამის ერთი ნიმუში თავით. 5. ქალი სამერინდის გზინა ჰერაკლეს ჯოჯოხეთიდან გამოყ... „ცერბერი" ბრძანა მარიოლიდან პარიზისაკენ გ რბის „დემოკრატიზმულ" რიგის მოკვეთილ ძველი ჩვენგანი ხედავს ქუჩებში, როცა კეთილშობილ მანდილოსანს მიჰ... ნები (ძაღლები), რომლებიც დარაჯობენ ჯოჯოხეთის კარებს. ამის მსგავს სურათს ... ედება.

3. აქტეონმა ცხვა შეაჭმევლით თავისი სა- ყვარელი ძაღლები. ახე დახადა იგი ქალღმერთმა. ხაჭუადი ფუნქციონერები ეხოში ვეღარ ჩა- დიან შიშით და თუ ვინმემ გულადობა გამოიჩი- ნა, მასაც აქტეონის ბედი მოელის.

## სამრილევე

დაცხა... დაცხა... დაცხა
ვერ ვიპოვე ჩრდილი.
მივატოვე ფიცხა
და ძველი ადგილი.

წამოვედით ზღვის პირას...
ნიავი ჰქრის ნელა.
აქ არ გვიხილავენ ქირას,
ვერ ჩვენ მოგვინახელა.

წამოვწექი ქვიშზე
გავილალე გული;
რა ნაკლი მაქვს სხვებზე—
ქონება თუ ფული?!

ჩემს მახლობლად სხვებიც
იოცვიან ბლომად...
იძლევიან ქვებიც
სიცხეს განიძღომად.

ნინა, ქეთი, შურა
აქ იხდიან ტანზე.

ჩვენს როგორც შურა
და გავხდებით ვიზე?
გაიხედეს... ჩადიან
სიცხისაგან ნავში...

მე მივდივარ ქალებს
ბრუ დამეხვა თავში.
ამოვეხვიე მალში;
აქ ხომ მაინც გრილა

ბა, როგორც სახლში
კამთენი დღილა).
ფრინველთა სიმღერ-
იტაცებდა სმენას.

აქ დაითმე ვერას
ამწვარდა რბენას;
ჰერცოგებმაო კაბა
ძლივს წვეთებოდა თხელი.

(რა უნდა ჰქნას, აბა,
როცა დღეა ცხელი).

აქ ბუჩქის ძირს დასხამ
ვხედავდი ცდომა მარიას.
(ლეკვით შეარჩინა,
რაც აქ დავიწერეთ).

...ეკეში და კატო
...რთობდენ მოლზე.
მე კი ამერონ მარტო
...ნებობდი ცოლზე.

დამცხა... აჰაც დამცხა
მომეცდა ალი.
...ნახე ერთი ფიცხა,
...ინ შევარჩევ თვალი.

...ა რა გეკითხე?..
..., ნუ შეიხედავთ, ნუ... ნუ!!!
...დეგა გრიშის მაბეს
...ჩვენიღი წუნეზ.

ბ. თხილი.

## ფულის გემო

ფულების გემოს სურაში
ჯერ ერთმა გასინჯა ბილია;
სიურპრიზი მეორეს:
„გაინიჯე, როგორი ტკბილია?!"

მართლაც რა კარგი ყოფილა,
...რის მაგის ძირია;
რამდენიც გვინდა ვიშოვნით,
ჩვენთვის არც ისე ძვირია.

...ოქროთი მონადირეთ
...ნაქები გვყავს ბიჭობაში.
...ან ხილივით მოხარშებით
...ვებს დაუდგა ჩვენი გზაში.

ჯერჯერობით სამი მიხდა,
კიდევ არის სხვა მრავალი.
დ. ტრო ფრთხილად მიეჩვევიან,
სადღაც კია გასავალი.

ყაყოლიკუ.

6. ჰერაკლი ჰკლავს ლომს, რომელიც თიხრებდა მზარეს. ტუნ- ლისის (და არა მარტო თბილისის) სასადილოებში ხშირია ამის მსგავსი ამბავი, როცა მოსადილეს ბრძოლა გიხდება ყურძიდან ამოსულ ჭიასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კარაპეტას გოდება

შავ და უკუღმა ის დღე, რა დღესაც ჩემი ბიჭი კომსომოლათ გავუშვი.

ქვეყანა სავსემათ გამოიცვალა რაღა! კაცმა შვილი თავის გემოზე ვერ გაზარდოს?

ჩემს ეზოში რომ შემოიხედო, პარალიჩი მოგივათ. რა ჯურის ხალხი არ გინდათ, რომ იქ არ ირეოდეს, სიყმეს გეფიცებით, რომა, სტრელკოვო ბატალიონის კაზარმა გეგონებათ სწორეთ. აფსუს, არ არის, როდესაც მარტო ცხოვრობ შენთვის კანარეიკასავით; ნიხტო ტებე ნე მიშაეტ—მაგრამ ამ ეზოში ცოლ-შვილი ამიბუნტეს... ჰო, ჰო, ამიბუნტეს-მეთქი, გეუბნებით!

ერთ დღეს გამოვაღე ალაყაფის კარები თუ არა, ვნახოთ და ჩვენი ეზოს შარლატანი ლუპუსტანები დამიხვდნენ... ჩემი ბიჭიც იმათთან არის.

— კაკ ვი სმეიტ, გავარიტ, ვაში სინ ნი პუსკაიტ პიანერცვი პარტიაო?—მომაძახა ფეჩნიკი ვანკას ბიჭმა.

— პაშოლ ტი ინდუშკა გალავა... ისეთ პიანიცა პარტიას მოგცემ მაგ გოგრაში, რომა სულ „სულო ბოროტო“ იმღერო-მეთქი.—შევყვირე გაბედულათ. მაგრამ საქმე არა გაქვს! ყვირილით კი არა, ანგლიცკი ზარბაზანი რომ ესროლა, იმისიც არ ეშინიან. ჰამაც, რომ არ მოუშვა პრუჟინა, ჯორის ტლინკებივით დააყარა სტატია-ზაკონები; მაშ... კაცო! დავბერდი მე ყურუმსაღი და მე არ ვიცი რა ამ ზაკონებისა... ამ ლაწირაკებმაკი ისე მომაყარეს, რომ გეგონება ისპანახი ორი შაური იყვესო... მახლას, მე ნაცარ-ქექიას ზღაპარი არც კი ვიცი ისე, როგორც იმათ ზაკონები სცოდნიათ.

მეც რა უნდა მექნა: საგლასნი გავხდი.

ზოგი კლიაუზნიკები გამოსულან და იძახიან: კარაპეტამ თავისი შვილი განგებ გახადა კომსომოლიო რომა ხალოგებში რამე შეღავათი მიიღოსო... კაკოთ ჩორტ. დახმარება კი არა, მისი შიშით კრინტი ველარ დამიძრავს... აქნობამდე პატიოსნათ ძმა-ბიჭებში ვმასლაათობდი, ძველ დროს ვიგონებდი... ახლა კი სახლში ჩემივე შვილი შპიონი მიხდება.

ვახ დროებავ! რატომ ცა არ ჩამოინგრევა რაღა! განა ეს მართალია? ერთხელ კაცო, ტერტერა მოვიყვანე სახლში. ის იყო ტერტერამ პირი დააღო.— უნდა ლოცვა დაეწყო თუ არა,—პუპლუს მამაძაღლი ჩემი რაზბონიკი ბიჭი შემოვარდა და ტერტერა პანჩურით გაისტუმრა. მე პირი დავაღე; ოფლში გავიწურე სირცხვილისაგან. ვახ, ოხერო ჩემო თავო, აღარ გინდა ქუჩაში ძმა ბიჭებში თავი გამოყო? მთელ იარმუკაში ხომ თავი მომეჭრა?! ეს კი აღარ მოვითმინე და ისე ბევრი ვურტყი რომა კომსომოლა კი არა, კომუნისტების ჯავრიც მაზე ვიყარე.

არც მე დამადგა კარგი დღე: კუტუსკაში თავი ამომაყოფინეს.

ეხლა კი ვისწავლე ჭკუა, მაგრამ გვიანღაა.

ძმა-ბიჭები ჯან, ზაბასტოვკა ჰქენით და ნულარ გააკეთებთ კომსომოლებს. მეც ასე უნდა ვქნა, თუ აქედგან თავი დავახწიე... ვინც მე არ გამამტყუნოს, იმის ოჯახში შევიდეს რაც ქვეყანაზე კომსომოლაა; ჰამაც ამ კუტუსკის ბაღლინჯოები იყვეს მისი პასტაიანი სტუმარი, ვოტ შტო.

მ. მეჯვრისხეველი.



# მიწერ-მოწერა

გამარჯობა, ძმაო შალვა.

ისემც კაი დაგემართოს, კაია ახლა მად ცხოვრება: სიგრილე, ნაძვნარში კოტრიალი. გავიგე ცოლი შეგირთავს; გამეხარდა. გამრავლოს ისე, როგორც აქ შტატგარეთ დარჩენილი ამხანაგები მრავლდება. მზითვი მოჰყვა რამე? შალიკო, ათი წელიწადია აღარ მინახავხარ. ამ ათ წელიწადში არავითარი საქმე არ დამივალებია. ეს უბრალო საქმე მაინც შემისრულე თუ გახსოვს რამე ჩვენი ძმა-ბიჭობის. თუ ძმა ხარ ამ ზაფხულისათვის ბორჯომში ჩამოსვლა მინდა ცოლ-შვილით. ეგებ ოთახი ჩამეირჩინო. შეიძლება მე არც კი მომიხდეს მანდ ცხოვრება, სტრახ-კასაში და საექიმო საკონტროლო კომისიაში გვარიანად მაქვს საქმე მოწყობილი. თუ გაჭრა სასწაულმა და სანატორიუმში ამოვყე თავი ავადმყოფსავით, მერე იცოცხლე,—მე შენ პატივი გცე. სანატორიუმებში ასე ამბობენ,—ძალით უნდა გაჭამოთ ავადმყოფებსო,—და ძალით ჭამას, ვზიდოთ სახლში, ყველას გვეყოფა. ჰოდა შენ იცი. ცოტა ფულსაც ქე გარგებ. აქ ძლიერ დაცხა პროფესორმა მითხრა, თავს უშველეო. ცოლია და გადარევაზეა, ბორჯომი აბოდებს დღე და ღამე. მეტს ვერაფერს ვერ მოგწერ. შენ კნეინას, პირველი ბიჭი მიულოცე, უფრო გამოსადეგია, შეიძლება პოეტად გამოდგეს. ნახვამდის შენი ძველი მეგობარი

პეტრე.

გამარჯობა, ძმაო პეტრე.

მივიღე შენი წერილი. იცოცხლე მე ის გამეხარდა. ცხოვრებას ნულარ იკითხავ აქ იყვეს. აგერ მოგიყვები ყველაფერს. ნაძვნარში კოტრიალს ნუ იოცნებებ, სულ მთლად ერთიანად აოხრებენ ეს დალოცვილები. ოთახებზე უნდა გამოგიტყდე; ისეთი გადასახლება-გადმოსახლება არის, რომ აღარ იშოვნება. თუ რამეს გავხდი „იმასვქნავ“. სიცხის შესახებ ნუ გეშინია, მაგრე იცის ზაფხულმა, შინაური წამლები იხმარე; ექიმებს არ დაუჯერო, თორემ გადაგრევენ.სტრახ-კასაში და კომისიაში კარგათ გქონია საქმე. ეცადე. დიდებულია. ყოველ-შემთხვევაში თუ გამხდარია, გასუქებულად ცოლი მაინც გამომიგზავნე. ნახვამდის. შენი ძველი მეგობარი

შალიკო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# არხეინად!

## ტფილისის რკინის-გზის სადგურში

(ღამის 11 საათია. ტფ. რკინის-გზის სადგურის სალაროსთან უშველებელი კუდია. ხალხი ღელავს, რადგან უკვე 3—4 საათია რიგში სდგას)




**1-ლი მგზავრი:** უკაცრავად, თქვენი რიგი რომელია?! თქვენ როდის იდეგით ჩემზე წინ?!

**მეორე:** მე ამ კაცის უკან ვდგევარ.

**1-ლი:** ტყვილია. სირცხვილია მაგის თქმა. (წინ მდგომს) ამხანაგო, მართლა იდგა თქვენს უკან?

**წინმდგომი:** არ ვიცი, ძმაო.. არ მახსოვს.

**1-ლი:** (რომელსაც ხალხი აწვება) ნუ მაწვებით, დეიხით უკან. ტავარიჩ ახრანა! იდი ზდეს პაჟალუსტა.

**მცველი:** ჩტო ტაკოე? რა მოხდა?

**1-ლი:** რა მოხდა და ბეზაბრაზოვანია სავსემ. ეს კაცი მივიდა და ალეიტუჩა აქ ვიდექიო. უბირი თუ ძმა ხარ, თვარა ია სამ უბერაიმ.

**ხმა უკანიდან:** კაცო მიიწით! პადვინტეს! დავრჩებით! რას შვრება ის ოჯახდასაქცევი კასირი? თითო ბილეთის მიცემას თითო საათი უნდება.

**ქალი:** (რომელიც რიგშია გაჩრილი). გავიჭყლიტე ქრისტიანებო! მიშველეთ! პოჟი ძია. ზდეს პადოხნიშ სავსემ ი ნიხტო ვერაფერს გაიგებს. (აუარებელი ხალხი აწვება სალაროს. საერთო ყვირილი და ღრიანცელი).

**ხმები:** ტავარიჩ ახრანნიკ! კაცო, მოდი ერთი გვიშველე. ჩააწყე ეს ხალხი.

**მცველი:** რა ჩავაწყო,—ტარანი ხომ არ არის. რეპრესიები აკრძალულია, გეხვეწებით დადგეთ.

**ქალი:** პრესია, ყმაწვილო, ეს მაშ რა არის. ამაზე მეტი პრესი შეიძლება?! გამჭყლიტეს ადამიანი?

**ბიჭი:** (ტირის) ვაიმე დედავ, ახლაც თუ ბილეთი ვერ ევიღე... მესამე დღეია აქ ვართ ოჩერედში.

**(ღამის 12 საათია, ღრიანცელი უფრო მატულობს. მცველები გაბრუებული დადიან. საერთო ყვირილში არაფერი ისმის).**

**ექსკურსანტი:** (მოლარეს) მომეცით ოცხდა ხუთი ბილეთი!

**მოლარე.** საიდან მოდიხართ?

**ექსკურსანტი.** შორიდან. აქ გამოვიერეთ. მოგვეცით ბათომის ბილეთები. (მოლარე ითვლის ბილეთებს, ანგარიშობს პროცენტებს).

**ხმები:** რა ამბავია, რომ ამდენი ხანია ერთი და იგივე კაცია მოლარესთან.

**1-ლი:** ესკქურსანტების წარმომადგენელია; ოცდა ხუთ ბილეთს იღებს.

**ბიჭი:** ვაიმე დედავ! ოცდახუთის ბილეთის მერე რაღა დარჩება? ნეტა მეც ექსიურსანტი ვიყო. (ტირის).

**ხმები:** კაცო, რა დროს ექსკურსანტია. რაღა ახლა მოუნდა სეირნობა. სამ-სამი დღეა აქ ვიცდით.

**მოლარე:** (სალაროს სარკმელს კეტავს) ბილეთი აღარ არის მოქალაქენო! ხვალ მობრძანდით.

**(კიდევ საერთო ღრიანცელი. აქა-იქ გული მისდის მგზავრ ქალებს. ხალხი საერთო უკმაყოფილების გამოთქმით იშლება.)**

**ალლარ-ალლარსანი** (რომელიც აგრეთვე რიგში იდგა 3 საათი, მაგრამ ბილეთი მაინც ვერ აიღო) ვაჰ! ვაჰ! ასეთი ხათა გაგონილა? რევოლიუციონი დღეებია თუ გრაჟდანსკი ომების დროს, რომ ასეთი ამბავია ამ სადგურზე? ნუ თუ რკინის-გზის უპრავლენიამ ამდენი ხანს ამ ბილეთების უპრავლენია ვერ ისწავლა? მახლას!

**ალლარ-ალლარსან.**

# ცნობის-მოყვარენი




— ფაიტონ... ფული რომ გვქონდეს, როგორ წაგვიყვანდი ორთაჭალაში?

# სატარტაროზო

## ბაკურიანი

**ნიკა:** არჩილა, ყოველდღე რომ სადგურში ლაზლანდარობ და ღვინის სმაში ატარებ დროს,სამუშაოზე როდის ხარ შენ? კოტეს, მიხას და ონოფრეს უყურებ! ისინი, როგორც სადგურის მოსამსახურენი, კიდეც მორიგეობენ და თანაც დახურულ კანტორაში ქეიფსაც შეექცევიან.?.

**არჩილა:** მე ადგილკომის თავჯდომარე ვარ და რაღა ოხრობათ მინდა წერაქვი ხელში?

**ნიკა:** კი მაგრამ ასე პატარა სადგურში კავშირის წევრების სიმცირის გამო ადგილკომის თავმჯდომარეობა რომ არ განთავისუფლებს სამუშაოდან?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოზურგეთი

შემოკრბენ მოქალაქენი:
გრიგოლ, პავლე და დომენტი.
სთქვეს:—ფულისა შოვნისა
ახლა არისო მომენტი...
ყველა „ყლიპურწობს“ რაღაცას—,
განა ჩვენ არ გვაქვს კუჭიო!?
ამ დარგში სხვამ რომ გვაჯობოს,—
მაშინ ვყოფილვართ ფშუტიო.
თითქოს ვაკეთებთ ჩვენ ხიდსა
ნატანებისა წყალზეო;
აგიტაცია გავსწიოთ,
ხალხი დადგება ყალყზეო.
მოჩხრიალდება ფულები—
იგი გადავდვათ განზეო,
და შემდეგ ხალხმა თუ გინდაც
თავი იტეხოს ქვაზეო...
და ამნაირად მოჰკიფეს,
ბიჭებმა ბლომად ქანქარი...
არც ხიდი არის, არცა გზა...
შესჭამეს როგორც შაქარი.
გამოგვიგზავნე, ტარტაროზ,
შენი მედგარი ჩანგალი...
დრო არის აწი მოგვშორდეს
ხალხი ასეთი ანგალი.

წკიპურტა.

## საჯავახო

აღარ სეირნობს ღორები
ამ დაბის სამკითხველოში.
ვღებულობთ ყველა გაზეთებს
გამოსულს საქართველოში
იონა თუ რომ დაგვჭირდა,
ვიპოვნით სადმე ჩრდილოში.
ალექსი ხშირად ქეიფობს
პავლესთან სასადილოში.
მწერალი სადღაც დაძვრება,
ვერ ნახავთ სამმართველოში.
(ალბად დროებას ატარებს
ღვინის სმა—სადღეგრძელოში.
ცარიელია თემკომი,
შიგ არვინ არის ჯდომარე.
ყურს არვინ გიგდებს, თუ გინდაც
ათი დღის იყო მდგომარე.
თუ დაიჭირე მწერალი,
წყალობა მოგცა მან რამე,—
ბეჭდისთვის უნდა ეძებო
შენ თავჯდომარე დღე-ღამე...
უნდა მონახო მედუქნე,
ან პავლე, ანდა ჯაშია,—
იქნებ მიაგნო ბეჭედს, და
დროზე წახვიდე სახლშია.

ოხტომესპირელი.

## ბდღვირს ადენს!




## გამჭრიახობა



**მოქალაქე** (მებაღეს): წყალი არ მოდის, წყურვილით ვიხოცებით და თუ შეიძლება ერთი ვედრო წყალი მოგვეცით.
**მებაღე** (რომელიც ბაღს რწყავს): არა უშავს რა...თქვენ შეგიძლიათ წყურვილი ღვინითაც მოიკლათ, ხოლო ბაღს კი ეს არ შეუძლია.

**არჩილა:** კანონი არ განთავისუფლებს, მაგრამ ბესარიონი განთავისუფლებს.

**ნიკა:** ჯამაგირს ვინ გაძლევს? როგორ შეუძლია გზის ოსტატს ასე მუდმივ განთავისუფლება სამუშაოდან.

**არჩილა:** კანონით არ შეუძლია, მაგრამ შინაურულათ, ჩუმად მანთავისუფლებს... სამაგიეროდ: მეც საჭირო კაცი ვარ მაგათთვის... თუ არა მე, ესენი ამდენხანს სამსახურში არ იქნებოდენ, და შეიძლება ციხეშიც ყოფილიყვნენ.

**ნიკა:** შენ როგორ შეგიძლია მათი გადარჩენა?

**არჩილა:** ყვლაფერი სიავე ჩაუდენიათ და ახლაც იდენენ მაგენი, მაგრამ ჩემის წყალობით, ყოველთვის ფონს გასულან.

**ნიკა:** კი ყოფილხარ მაგათი მხრივ პატივსაცემი, მაგრამ, ალბად, შენ სხვები გიწყობენ ხელს, თორემ ვერ შესძლებდი საქმის დაფარვას!

**არჩილა:** ესეც მართალია; მე და გზის ოსტატი დავარიგებთ ბიჭებს, რომლებიც საერთო კრებაზე ერთხმად დასძახებენ მაგათ წინაალმდეგ წმოყენებულ ბრალდების გასაბათილებლად: „ტყუილია“ „ეს არ იქნებოდა“... „მტრობა ალაპარაკებს“ და სხვა ასეთები. ამიტომაც არც ისინი არიან ზარალში: სამსამი დღით რიგრიგობით სამუშაოდან ანთავისუფლებენ...

ლაპარაკი კიდევ გრძელდებოდა, მაგრამ მე მეტი მოცდის დრო აღარ მქონდა და წამოვედი.

ხა-ითანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დევ-ლორი

(სოფ. ნამყვამი, ზემო-სვანეთი).

ტყე ახლავს ახლოს ჩვენს ეკლესიას. მივარდნილ ადგილზეა იგი. ალბად ამ გარემოებამ აფიქრებინა სილბისტრო ნავერიანს, რომ:

ერთ ბნელ ღამეს ფეხებზე ცოცხებით დაიკიდა, თავზე ღორის ჯაგარი გაიკეთა და თითქოს დაემსგავსა რა დევს, რომლის არსებობა, საუბედუროდ, კიდევ სწამთ აქ, მორთო მხეცური საზარელი ყვირილი. მთელი სოფელი დააფრთხო. მაღლობიდან სახლების სახურავებზე გადმოჰყარა



ქვები... გლეხებს ღვთის რისხვა ეგონათ და მეორე დღეს ეკლესიის გალავანში მიიტანეს სხვადასხვა შეწირულება, რომელიც დაუტოვეს გამწყრალ დევს... სილბისტროსაც ეს უნდოდა. როცა დაღამდა, ფრთხილად ჩამოვიდა გალავანში და სახლისკენ აფრინა შემოწირულებანი.

სილბისტრო მასწავლებელია, მაგრამ არა მგონია, რომ კარგი რამე ასწავლოს ხალხს ასეთმა მასწავლებელმა.

სვანელი—მელა.

# ქუთაისი



**გუდიან დანელია:** რას მიქვია, პატენი, დროხტურები; ჩემისანა ვინ იქნება! საათს დავადებ ავადმყოფს მაჯაზე, გობზე გავხსნი ქვიჯაში დანაყულ წამალს, ჩავასხამ ხარხაში და ხელად მოშორდება სატკივარი.



როგორ არ ვიტირო,
ცრემლი არ დავგუბო,—
როდესაც წამართვა
მე შამშემ წყალტუბო.

# სად. ბათომი

ვინაც რა უნდა ისა სთქვას,
მე ჩემს სურვილებს მივყვები
როს კუჭი ეწვით უბადრუკთ,
მაშინ რას შველის სიტყვები.

—:—

ვინ კომისია? ვინ „უჩკა“?
ვინ არის ადგილკომია!?
კავშირის წევრი ხომ არ ვარ,
„სისუფთავესო არ იცავ“
ამას ჩამძახის მუშები;
„ჩვენ ახლში, ჩვენ ტყავს გვაძრობო“
(საბრალო ბაიყუშები).

—:—

ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ,
რომ ჩემთან ბრძოლა ძნელია.
ბათომის „დეემ“ ვანიჩკა
ჩემი მარჯვენა ხელია.

—:—

თავგასულებსა მუშკორებს.
აუტყდათ ენის ქავილი;
„პავლეო მოგვაშორეთო“
ასე დაიწყეს ჩხავილი.

—:—

**გამოილვიძე, კავშირო,**
**და თხოვე: დიდო პავლეო,**
**აწ წადი, სხვას „ემსახურე“,**
**რა ჩვენთვის მოიცალეო.**

**ინგუში.**

# ბედნიერი თემი

(კატაც ვერ ბედავს იქ ასვლას
და ვერ ჩერდება ფეხზედა).
შიგ სამკითხველო რომ არის
უწიგნო და უგაზეთო.

(ნუ თუ პატრონი არა ჰყავს?..
ვაი, სირცხვილო ასეთო!).
აღმასკომიდან შუა ტყეში
შეუყვანია შოსეა.

(ამას ამტკიცებს სუყველა
პეტრე, ვანო და მოსეა).
იქ მოუწყვია გემოზე
სადაფაზურნო ალაგი.

(მართლაც დიდია ამ თემში
ჩვენი ლავრენტის ამაგი!).
კოოპერატივი დაუდგამს
შორს სოფლის განაპირასა.

(სოფლებში ჩარჩი, ვაჭრები
ხომ გადადიან ყირასა).
აბანოს სახურავზედაც
კი მოუწყვია საცეკვი.
(ვერ მოუწყვიათ მხოლოდ-ღა
სულორზე ღომის საცეხვი).
ახლანდელ თავმჯდომარესაც
საქმე ჰქონია მრავალი...

სწორად აქვს დაყენებული
აბანოს შემოსავალი.
ჭურჭუტანები ბევრი აქვს
გასავალ-გამოსავალი.
ტარტაროზ, უნდა მიხედო
თუმც გრძელი გზაა სავალი.
შენ გენაცვალე ტარტაროზ,
ჭირიმე [illegible]ებისა.
ამბავი მინდა მოგითხრო
დვალიშვილების თემისა.
ლავრენტის მოღვაწეობა
აქ თვალსაჩინოდ დიდია.
(თუ ტყვილად არ მოუჭორებს
კაცი ავი და ფლიდია)
სუყველა აქ დაუხარჯავს
თვის ენერგიის წვეთები
(და ამას მოწმობს მისივე
ნაშრომი და ნაკეთები).
მას აღმასკომის შენობა
დაუდგამს სალსა კლდეზედა *)

---

*) ყოჩაღ მას; ეს ხომ მის სასარგებლოდ ლაპარაკობს.

**ასოთ-ამწყობი**

# ცნობათა მიღება

**საჩხერელ ჭინკას.** (საჩხერე) „ძმა ძმისათვის, შავი დღისათვის",—ასე ამბობს ქართული ანდაზა... და მართლაც ასეა. თუ არა თავადებმა და მათმა ცოლებმა მიაქციეს ყურადღება მივიწყებულ მღვდელს და მის ეკლესიას, აბა ვინ მიაქცევს?! ტარტაროზი ხომ არა... და თქვენც ნუ გიკვირს, თუ დოლის დროს:

კნეინებმა, კნიაჟნებმა
გადიკიდეს ყულაბები...
გარბის... ცხენი ცხენსა მისდევს,—
მათ კი მისდევს კნეინები.

გაოფლილნი, გაქაფულნი
ჩიკჩიკობენ თავადები.
და ამბობენ:—შეიბრალეთ
საყდარი და სერგო მღვდელი.

გადაუშვით ყულაბებში
თქვენს ჯიბიდან ვერცხლის ფული.



ჰო-და ეს ამბავი არ არის გასაკვირი... მაგრამ ძალიან საკვირველია, თუ როგორ:

**ასეული მანეთები**
**მით დაამძვრეს გლეხთა ჯიბეს...**
**(უხაროდეს მამა სერგოს,**
**ეკლესიის მეჯინიბეს).**

სწორედ, რომ: უხაროდეს უნდა. ასეული მანეთების ასე უბრალოდ შოვნა სერგოს კი არა, არც შენ გეწყინება, საჩხერელს ჭინკავ ხოლო ჩვენ ის გვწყინს რომ ამ შემთხვევაში მაქაური გლეხობა არის დანაშაული და არა თავდები, რომლებიც თავიდანვე გამყვლეფი იყვენ.

**კურსაბელს.** ძველი ამბავია და ისიც მოსაწყენი.

**„ხინას".** ნუ გეშინიათ. სახლში დაბრუნებულხართ. სურვილი კარგია, მაგრამ ასრულება კი ძნელი. ისე, გულს ნუ გაიტეხთ. ყოჩაღათ იყავით. შენ კი არა, შენზე უარესები იგზავნებიან გოდორში. ეს ბევრის ხვედრია.

**ალოს.** (ს. ხევი) ჰო, მართალია: **უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონაო.** ალბათ ამიტომ არის, რომ:

**რიჟას.** (ს. ხევი) მივიღეთ თქვენს მიერ გამოგზავნილი ერთი მანეთი 50 კაპ. სურათის საფასურათ. გიწერთ გაზეთს და ჟურნალს ორი თვით. გვაცნობეთ სწორი მისამართი.

**მიშა ჩიბათელს.** (გომახური) თქვენ გვწერთ, რომ:
**27 ივნისს მოწყობილ იქნა საღამო, რომლის შემოსავალი უკლებლად მოხმარდა საღამოს მომწყობ კომისიის ქეიფს.**

**განჯისკარელს.** შე დალოცვილო, რაღას სხვებს ეუბნებით: **გონზე მოდით-ო?** თავის-თავს რომ უთხრათ უკეთესი არ იქნება? თქვენი წერილი „**ღრმა ღელე**"-ში გადავგავნეთ ასეთი მასალები „ტარტაროზი"-სათვის შეუფერებელი და მიუღებელია.

**ტანკას.** (გამოჩინებულის თემი) თუ არ გრცხვენიათ, რატომ არ გეზარებათ ერთდაიმავე ამბის მოწერა მრავალჯერ. (მას შემდეგ მოჭმული ყური პრილას ალბად ამოუვიდა).

**ხრიალეთელს.** (სუფსა) მიართვით ცოტა წყალი ყურამანს, თუ იგი ცხარობს და

**დაეძებს იმის დამწერსა.**
**„თუ ვნახე, დედას უტირე,**
**ზურგზე ავადენ მას მტვერსა".**

ვინ იცის, იქნებ მართლაც მაგრე მოიქცეს... (ბევრია ქვეყნად თავზეხელაღებული ხალხი...). მაგრამ მტვერი, რომ ვერ აადინოს ზურგზე დამწერს, ამიტომ გირჩევთ კარგად დაიბანოთ ზურგი და გაიწმინდოთ ჭუჭყისაგან... თორემ მტვერის ასადენად ბევრი ცემა დასჭირდება ზურს, რა გინდ მტვერიანი იყოს... (მდინარე სუფსა ხომ ახლოს არის თქვენთან?!).

რაც შეეხება წერილის მოთავსებას,—ვერ ვათავსებთ, რადგან უკვე იყო მოთავსებული... ამის გარდა მანდ ხალხს კარტის თამაშის მეტი ნაკლულოვანება თუ არა აქვს,—ეს ერთი ნაკლი ეპატიება... და თუ კი აქვს სხვა კიდევ რამე, რატომ ვერ ხედავთ?

კარტის თამაშის ბრალდება იაგორზე მოხსნილია (შეცდომით წავიდა), ხოლო ესევე ბრალდება იაგორის მაგიერ გადატანილია იორდანეზე.

**ვანო მაზიაშვილს.** კარგი გადარჩენილხართ, თუ:

**ერთს ადგილს შემხვდენ**
**მღვდელი. დიაკვანი, ტაროსტა,**
**ცხვირპირში სისხლი ვადინე,**
**თითქოს შეჭყრია ტაბოსტა...**

არ ვარგებულან დაზარალებულები, თორემ ადგილობრივ მილიციაში ყურით მიგიყვანდენ და იქ კი რამოდენიმე დღით დაისვენებდი.

**ოლოლელს.** (სუფსა) მხოლოდ ეს ადგილი მოგვეწონა თქვენს წერილიდან:

**სადგურის ქუჩას თუ ნახავთ,—**
**(ეს არის სუფსის დიდება)**
**შიგნით სდგას როტა ძაღლები**
**ექვთიმეს ნათესავები...**
**და იქ გარება შიშია,**

**არ გამოგჭამოს კლანჭები.**

ნუ თუ ასე უსინდისონი არიან ექვთიმეს ძაღლები?!

**ჩახუნდარიძის ძმას.** (ჯუმათი) უმნიშვნელოა.

იოლად გამოსულხართ, თუ მათ არ დააკლდათ და დამატება არ დასჭირდათ; ასე რომ საყვედური უადგილოა.

**ბათომელს.** ვათავსებთ თქვენს მიერ გამოგზავნილ სურათს.



**ჩაჩანს** (ქიათურა) თუ სოფ. შუქრუთში და პერევისაში წყალი არ არის,—ღვინო დალიეთ. ასე გვასწავლა ჩვენ ერთმა მეზობელმა, რომლის შესახებ სურათი იხილეთ მე-14 გვერდზე.

**წუნკალს.** (სვირი) ეხლა ზაფხულია და მღვდელ-დიაკონს ტარტაროზი აღარ მიირთმევს, რადგან მყრალი სუნი აქვთ. სხვა რამეზე მოგვწერეთ.

**მელქისედექ სიხარულიძეს.** (ბუკის-ციხე) რედაქცია თანამშრომლის ვინაობას საიდუმლოდ ინახავს და ამიტომ ვერ გაცნობებთ „კურდღელა"-ს ვინაობას.

**გულდახრიგინეს.** (ამაღლება) კმარა რაც დაიწერა. ჟურნალის ფურცლებს ჩვენ ვერ გადავაქცევთ პირად ანგარიშების გასასწორებელ მოედნად. ასე რომ გავაგრძელოთ, ბოლო აღარ ექნება ამ საქმეს.

**ბა—კას.** (დიდი-ჯიხაიში) თქვენი „ვედრება" ვისმინეთ. თქვენ ევედრებით კულტკომისიას, რომელიც ყოველ კვირა აწყობს წარმოდგენა-ლექციას, დაეთხოვოს ამას და დახუროს სეზონი, რადგან:

წარმოდგენებზე ლამის ნათევი,
ფერდაკარგული დადის ქალები...
თქვენც მოიხუცნეთ, ჩვენც მოგვასვენეთ
და შეიბრალეთ ჩვენი თვალები...

ნუ ესწრებით და აღარ „აგტკივდებათ" თვალები. (მიუჩვეველი თვალები სინათლეს ვერ უძლებს. ალბათ თქვენც ასე გემართებათ).

**კბენარს.** (ხევი) თუ თქვენი ნოქარი „ღვინოში იხრჩობა", დააცადეთ, ბარემ დაიხრჩოს, თქვენთვის უკეთესია, სხვას აირჩევთ, რადგან:

სალამოს მოვა ნოქარი,
აცხადებს: ახლა ღამეა,
ღამით ვერაფერს ვაყიდი,
გათენდეს, მოდით ხვალეა.

**ყაყა ფალხრათიშვილს.** ვათავსებთ თქვენს

## „მეცნიერება და ტეხნიკა"-ს.

იმედი მაქვს: არ დაიზიარებ და თქვენი ჟურნალის ფურცლებზე არგილს დაუთმობთ ამ ჩემს გამოგონებას.

მაგრამ, სანამ შევუდგებოდე ჩემი გამოგონების აღწერას, ნება მიბოძეთ ორიოდე სიტყვა ვსთქვა ჩემი თავგადასავლის შესახებ. ეს მეტად საჭიროა რადგან მომავალში, აუცილებელია ჩემი სახელი ისტორიაში შევა და მკლევარებს მე თუ არ დავუტოვე ცნობა ჩემს ცხოვრებაზე, ისინი რას მიხვდებიან, ან საიდან ან როგორ შეადგენს ჩემს ბიოგრაფიას!? კმარა ჩვენი მეცნიერებისათვის შოთა რუსთაველის ცხოვრების გამოკვლევა, რომელიც ჯერ კიდევ ამდენი ხანია ვერ გამოურკვევიათ. არა, მე მეოცე საუკუნეს შვილი ვერ ჩავიდენ ასეთ დანაშაულებას.

—

ბავშვობიდანვე ჩემი მიზანი იყო კაცობრიობისათვის რაიმე სარგებლობა მომეტანა და ისე არ მომკვდარვიყავი, როგორც ჩვეულებრივი მომაკვდავი. სამი წლის უკან მე დავასრულე საშუალო სასწავლებელი და უმაღლესშიშევედი სწავლის გასაგებლად.

მაშინ, როგორც ახლა არის, გამოცდები არ იყო და მეც ადვილად მოვხდი საინჟინერო ფაკულტეტზე. გადიოდა დრო და ჩემს თავში არაფერი შედიოდა, მაგრამ გულს მაინც არ ვიტეხდი.

ვათვალიერებდი ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში განყოფილებას: „მეცნიერებ და ტეხნიკა"...

დავრწმუნდი, რომ ყველაფერი გამოგონებულია ქვეყანაზე არაფერი აღარ არის გამოსაგონებელი... ასე, რომ მეცნიერებს ჩემთვის აღარაფერი დაუტოვებიათ გამოსაგონებელი. მე სასწორკვეთილებაში ჩავარდი. ანდა როგორ არ ჩავარდნილვიყავი, როცა, წარმოიდგინეთ თქვენ „ლილიპუტი გრამაფონიც", რომელიც ხელის გულზე ეტევა, ჯიბის საფურთხიც, რომელის მოთავსება ადვილად შეიძლება ჯიბეში და ჯიბის ქოლგსც კი გამოუგონებიათ! ეხლა მოდი და იფიქრე კაცმა, თუ ამის შემდეგ რაღა გამოიგონო... ცხადია, აღარაფერი...



ჰო-და მე სასწორკვეთილებაში ჩავარდი. უიმედო ფიქრებმა მოიკალათეს ჩემს თავში და დამიწყეს დაცინვა:

— გვიანღაა, ყმაწვილო... გამოგონება თუ გინდოდა, ცოტა უფრო ადრე უნდა დაბადებულიყავი, თორემ ეხლა რაღა [illegible] გამოსაგონებელი!—

და მე დავაპირე თავისმოკვლა... და ის იყო ეს გადაწყვეტილება სისრულეში უნდა მომეყვანა და ამისათვის ფეხსადგილში წავიდე,—რომ უცბად თავში გამიელვა:

— ფეხსადგილი! ოჰო... ევრიკა... მე გადარჩენილი ვარ.. მე თავს აღარ ვიკლავ... ჭეშმარიტად: დიადი აზრი ადამიანს უცბად მოუვა... მე ამიერიდან დიდი გამომგონებელი ვარ... კაცობრიობას მე მივეცი ისეთი ბედნიერება, როგორიც არავის... ჩემი გამოგონება გადატილებას მოახდენს კანალიზაციაში, რომელიც ასე ძვირად უჯდება ქალაქების თვითმართველობას...

მე გამოვიგონე :ჯიბის საპირფარეშო.

—

დღეებს ვაღამებდი და ღამეებს ვათენებდი ფიქრებში...მაგრამ ტეხნიკურად მაინც ვერ მოვახერხე ჯიბის საპირფარეშოს აგება... ისევ უიმედობამ შემოსა ჩემი ბრწყინვალე აზრი. რა ვქნა! ჩვენში ჯერ კიდევ არ არის ტეხნიკა ისე განვითარებული, რომ შესაძლებელი იყოს ჩემი გამოგონების აგება... მაგრამ აზრი მოცემულია ჩემს მიერ და მისი ტეხნიკურად განხორციელება არც ისე ძნელია...

მე გადავწყვიტე ამერიკაში, სადაც ტეხნიკა მეტის მეტად განვითარებულია, გავაგზავნო თეორიულად დასაბუთებული ჩემი გამოგონება. გთოვ გადაუგზავნოთ იქაურ მეცნიერებს შემდეგი ჩემი წერილი:

ამერიკის და ყველა ქვეყნის მეცნიერებო! დიდია თქვენი ღვაწლი კაცობრიობისათვის... და კიდევ უფრო დიდი იქნება, თუ თქვენ შეასრულებთ და გაანხორციელებთ ჩემს გამოგონებას: ჯიბის საპირფარეშო.



დიდი მოთხოვნილება იქნება თქვენს მიღწევს. თითოეული მოქალაქე შეიძენს. ქალაქები ვერ არის ისე მოწყობილი, რომ მოთხოვნილება არ დაურჩეს ჯიბის საპირფარეშოს. რამდენი მოქალაქე სადაც იგი ამ ნადაგზე გაჭირვებულს მდგომარეობაში ვარდება. ჩამოდის სოფლიდან ქალაქში, ქალაქებში, მართალია, არის იქააქ საერთო საპირფარეშოები მაგრამ მათი რიცხვი მოთოვნილებასთან შედარებით, მეტად უმნიშვნელოა; თანაც ისე შორს არიან ერთმეორესაგან, რომ იქ მისვლამდი შენ შენი დაგემართება (და მით უფრო როცა კუჭი ნორმალურად ვერ მუშაობს, რაც ხშირი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში, რადგან წითელი თუ კრძო სასადილოები სოკოსავით გამრავლდენ).

რამდენი მოქალაქე (უფრო კი სოფლიდან ჩამოსულები სტუმრად) სირცხვილის გამო ვერ სარგებლობენ სახლებში საპირფარეშოებით, რომლებიც ბინებში არიან მოთავსებული, ასე ვსთქვათ, ცხვირის წინ.

ამის გარდა კიდევ: როცა ქორწილია, მაყრები ღვინის სმაში არიან შებმული და თითოეული მათგანი ცდილობს, რომ თავისი „ალავერდი" დაამარცხოს, რაც გამოიატება იმაში, რომ „ალავერდი" ადგეს და საჭიროებისათვის მან დროებით სუფრა დასტოვოს. ხოლო როცა გამოგონებული იქნება ჯიბის საპირფარეშო, მაშინ ყველა მათგანი შეიძენს მას და ამით ღვინის სმაში შეუძლებელი გახდება ერთმანეთის დამარცხება, რადგან თითოულ მათგანს თან ექნება ჯიბეში ასეთი.

საზოგადოდ, როგორც მიღებულია: ახალ აღმოჩენა-გამოგონებას სახელწოდებად აძლევენ აღმომჩენ-გმომგონის სახელს ან გვარს. თუ თქვენ ამ ჩემ გამოგონებას არ მიისაკუთრებთ და იმდენ პატივს მსცემთ, რომ მას ჩემს სახელს და გვარს უწოდებთ, ძალიან გამიხარდება... ისე თქვენ იცით და თქვენმა სინდისმა. მე მაინც თავს ბედნიერად ვსთვლი, რომ კაცობრიობას ასეთი დიდი ბედნიერება მივეცი და ამ ქვეყნად არა მიცხოვრია მუქთად.

პ. ც. ყაყა თალარათაშვილი.

დიდი მიღწევა და აღმოჩენაა. თქვენი წერილი საჩქაროდ გადავგზავნეთ თქვენ მიერ გამოგონებულს ადგილზე. აღსრულებულია თქვენი სურვილი და პატივცემა: საპირფარეშოში შესასვლელ კარებზე ხატავენ თქვენს სურათს.

**„ზათავანდი"-ს.** (საგარეჯო) გწერთ, რომ:

ვ გოგოლაძე სწავლილი კაცოა მაგრამ ქცევა კი კარგი ვერ აქვს: ქალებს და ვაჟებს პირში აგინებს და ლანძღავს.

კაციც მასეთი უნდა. ხომ გაგიგონიათ: მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანო.

მღვდელ ზუკაშვილვმა მღვდლობას თავი გაანება და კლეხკორობა დაიწყო; ამის წინედ რედაქციას მიმართა, რომ მისთვის იუბილე გადაეხადა,—

არ ვიცი თეს ამბავი რამდენად მართალია. გაგვაგებინეთ, თუ რამდენი წლის მოღვაწეობის იუბილეს გადახდას თხოულობს და თუ ამ ქვეყნად არა, იმ ქვეყნად მაინც გადაუხდიან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძილის მფარველი ანგელოზი



საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრ. კომიტ. სტამბა, კამოს ქ. 68.